ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

თსუ 107

Scientific Conference dedicated to the establishment of the Tbilisi University

TSU 107

თეზისები

Theses

7 თებერვალი

February 7

2025

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

დარეჯან თვალთვაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ეკატერინე ნავროზაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

დარეჯან გარდავაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი

ნინო პოპიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე)

Scientific and Organizing Committee:

Darejan Tvaltvadze – Dean of the Faculty of Humanities in Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

Ekaterine Navrozashvili – Head of the Scientific Research and Development Service at the Faculty of Humanities in Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

Darejan Gardavadze – Head of the Quality Management Service at the Faculty of Humanities in Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

Nino Popiashvili – Chief Specialist of the Scientific Research and Development Service at the Faculty of Humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Philology (Chairwoman of the Conference)

რუსული ჯარი კავკასიაში: რუსი მწერლების შეფასებები და ისტორიები

RUSSIAN ARMY IN THE CAUCASUS: ASSESSMENTS AND STORIES BY RUSSIAN WRITERS

დალი კანდელაკი

Dali Kandelaki

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: რუსული არმია, რუსი მწერლები, პიოტრ მუხანოვი, ე. ხამარ-დაბანოვი, XIX საუკუნე

Keywords: Russian Army, Russian Writers, Pyotr Mukhanov, E. Khamar-Dabanov, 19th Century

XIX საუკუნეში კავკასია რუსეთის იმპერიისთვის უმნიშვნელოვანესი რეგიონი გახდა, რომელიც მთავარ როლს ასრულებდა მის სამხედრო და პოლიტიკურ სტრატეგიაში. კავკასიის დაპყრობა თითქმის საუკუნე-ნახევარი გაგრძელდა და საკმაოდ რთული პროცესი იყო, რომელშიც კოლონიური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის მახასიათებლები გადაიხლართა რელიგიურ, სოციალურ, ცივილიზაციურ და ეთნიკურ კონფლიქტებთან. კავკასიაში საბრძოლო ვითარების ცვლილებების მიუხედავად, ყოველთვის რჩებოდა უცვლელად მუდმივი მონაწილე – რუსული არმია, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი კავკასიის რეგიონის წინააღმდეგ მიმართულ ომებში.

ორი საუკუნის წინანდელ კავკასიაში რუსული არმიის მოქმედებების მრავალი ფაქტი ასახულია XIX საუკუნის რუსი მწერლების ნაწარმოებებში. ისინი ხშირად წერდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებზე, ხაზს უსვამდნენ იმ სირთულეებს, რომელთა წინაშეც რუსული არმია იდგა. ავტორები ასევე წერდნენ რუსული არმიის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ მთიანი რელიეფის პირობებში სამხედრო ოპერაციების სირთულეს. მათ ნაწარმოებებში დიდი ყურადღება ეთმობა რუსული არმიის ურთიერთობებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. ზოგიერთი მათგანი თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის წინააღმდეგობის ჩახშობის მკაცრი ზომების გატარების მხარდამჭერი იყო; ისინი ემხრობოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის დეპორტაციას და მათი საცხოვრებლების განადგურებასაც კი. სხვები კი, საპირისპიროდ, თანაგრძნობას უცხადებდნენ და მკვიდრ მცხოვრებლებს, ამაყ და თავისუფლებისმოყვარე ადამიანებად ახასიათებდნენ. ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ იმ კულტურულ განსხვავებებსა და სირთულეებზე, რომლებიც წარმოიშვა რუსეთის იმპერიაში რეგიონის ინტეგრაციისას. რუსი ავტორების მოსაზრებები არმიის ქმედებებზე კრიტიკული შეფასებებიდან პატრიოტულ აღტაცებამდე მერყეობდა. ისინი ხშირად ამბივალენტურ გრძნობებს გამოხატავდნენ, აღიარებდნენ რუსული სტრატეგიის ეფექტურობას, მაგრამ აკრიტიკებდნენ მისი განხორციელების მეთოდებს.

„დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო ეს, საუკუნე ხომ არ ვუყურებთ ურჯულოებს, დროა ხიშტით გავერთოთ" – ეს გამონათქვამი წარმოადგენს რუსი სამხედროების საერთო მოსაზრებას ქალაქ განჯის აღების წინ, რომელიც მოყვანილი აქვს რუს მწერლს **პიოტრ მუხანოვს** (1799 – 1854) ნარკვევში – „განჯის აღება (წერილი რ-სთან***)". მხოლოდ ამ ერთი ფრაზიდანაც ნათლად იკითხება მათი დამოკიდებულება რეგიონისა და მისი მუსლიმი მოსახლეობის მიმართ. ნარკვევი დაწერილია ამ ბრძოლის თვითმხილველის, ვალერიან მადათოვის, მონათხრობის საფუძველზე. ავტორი საუბრობს კავკასიის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე და რუსეთის იმპერიის მიზნებზე, აღწერს პოლიტიკურ სიტუაციას, განჯის ალყას და შემდგომ მოვლენებს კონკრეტული თარიღებითა და პერსონაჟებით; ყურადღებას ამახვილებს რუსებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობაზე, ტრადიციებსა და მორალურ პრინციპებზე. ნარკვევიდან იკითხება, რომ რუსული არმია გამოირჩეოდა ორგანიზებული სტრატეგიით, გამძლეობითა და სიძლიერით, თუმცა მისი მოქმედებები ხშირად ძალადობრივ და დომინანტურ ხასიათს ატარებდა.

რუსეთში 1844 წელს გამოქვეყნდა რომანი-პამფლეტი „ხრიკები კავკასიაში". წიგნის ავტორი იყო მწერალი **ე. ხამარ-დაბანოვი**, იგივე ეკატერინა ლაჩინოვა. რომანში გადმოცემული ამბები 1838–1842 წლებში ხდება. კავკასიურ ომზე საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციების მიუხედავად, რუსი მწერლისთვის რჩებოდა პასუხგაუცემელი კითხვები: რისთვის იბრძოდა რუსეთის ჯარი, რა ამოძრავებდათ კავკასიელთა წინააღმდეგ ომში? რატომ გრძელდებოდა ომი უსასრულოდ, თუ რუსები ყოველ ჯერზე წარმატებულნი იყვნენ და ზოგიერთ კავკასიელ ხალხს იმორჩილებდნენ კიდეც? ე. ხამარ-დაბანოვის ფსევდონიმს ამოფარებულმა ეკატერინა ლაჩინოვამ ჭეშმარიტად გმირული საქციელი ჩაიდინა – გამოაქვეყნა რომანი კავკასიის ომის შესახებ და მკითხველებს დაანახვა ამ ომის ყველა უსიამოვნო მხარე: სისასტიკე, ბიუროკრატიული სისულელე, ძარცვა, ძალადობა, რუსი ოფიცრებისა და ჩინოვნიკების სიმხდალე. ე. ლაჩინოვას ნაწარმოები – გაბედული აზრით სავსე რომანი-პამფლეტი –

გამოწვევა იყო მეფისა და მისი გარემოცვისთვის. ავტორმა დახატა ვულგარული, საზიზღარი, ეგოისტური, თვალთმაქცობის დაუნდობელი სურათი. რომანში ასახული ისტორიებით, ფაქტობრივად, გამოვლინდა საიმპერატორო ადმინისტრაციის არაკომპეტენტურობა, თანამდებობის პირთა თვითნებობა და კორუფცია, გენერლებისა და ოფიცრების მედიდურობა.

XIX საუკუნის რუსი მწერლების ნაწარმოებები მნიშვნელოვანი წყაროებია, რომლებიც ნათელს ჰფენენ იმ ეპოქის გეოპოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტს, ასახავენ კავკასიის ისტორიას როგორც მსხვერპლთა, ისე დამპყრობელთა თვალით.

In the 19th century, the Caucasus emerged as a pivotal region for the Russian Empire, occupying a central place in its military and political strategy. The conquest of the Caucasus, spanning nearly a century and a half, was a multifaceted and prolonged process, characterized by the intersection of colonial ambitions, national liberation struggles, and religious, social, civilizational, and ethnic conflicts. Despite the changes in the combat situation in the Caucasus, there has always been a permanent participant there – the Russian army, which gives reason to consider it as an independent factor in the wars against the Caucasus region.

Many facts about the actions of the Russian army in the Caucasus two centuries ago are vividly captured in the works of 19th-century Russian writers. They often wrote about their impressions, emphasizing the difficulties that the Russian army faced. The authors also wrote about the strategy and tactics of the Russian army. They unanimously noted the difficulty of military operations in the mountainous terrain. Their works place significant emphasis on the relationship between the Russian army and the local population. Some authors advocated for the use of severe measures to suppress resistance of those who fought for their freedom, endorsing actions such as deporting local communities and even destroying their homes. In contrast, others expressed sympathy for the indigenous population, describing them as proud and freedom-loving. These authors highlighted the cultural differences, and the challenges

encountered during the region's integration into the Russian Empire. Russian authors held diverse opinions on the army's actions, ranging from critical assessments to patriotic admiration. Many conveyed ambivalences, recognizing the effectiveness of the Russian strategy while condemning the methods used to implement it.

"This should have happened long ago. We have tolerated the wicked for centuries; now it's time to enjoy the use of weapons." This statement, reflecting the prevailing sentiment among Russian soldiers prior to the capture of the city of Ganja, is cited by the Russian writer **Pyotr Mukhanov** (1799–1854) in his essay, *"The Capture of Ganja (Letter to R**)".* This single phrase alone clearly conveys their attitude towards the region and its Muslim population. The essay is based on the account of Valerian Madatov, an eyewitness to this battle. The author discusses the strategic significance of the Caucasus region and the objectives of the Russian Empire. He provides a detailed account of the political landscape, the siege of Ganja, and the events that followed, including specific dates and key figures. Additionally, he examines the interactions between the Russians and the local population, shedding light on their traditions and moral values. The essay says that the Russian army was distinguished by its organized strategy, endurance and strength, although its actions were often brutal and overbearing.

In 1844, the novel-pamphlet *"Escapades in the Caucasus"* was published in Russia, authored by **E. Khamar-Dabanov**, the pen name of writer Ekaterina Lachinova. The events described in the novel unfold between 1838 and 1842. Despite the information spread in society about the Caucasian War, the Russian writer remained with unanswered questions: Why was the Russian army engaged in this conflict, and what drove them to wage war against the Caucasians? Why did the war persist endlessly, despite Russian successes and the subjugation of certain Caucasian peoples? Under the pseudonym E. Khamar-Dabanov, Ekaterina Lachinova undertook a truly courageous act by publishing a novel that revealed the darker aspects of the Caucasian War: cruelty, bureaucratic incompetence, theft, violence, and the cowardice of Russian officers and officials. E. Lachinova's work – a novel-pamphlet full of bold ideas – was a challenge

to the king and his entourage. The author painted a ruthless portrait of vulgar, repugnant, selfish and hypocritical individuals. Through the stories in her novel, she exposed the incompetence of the imperial administration, the lawlessness and corruption of officials, and the mediocrity of generals and officers.

The literary works of these and other 19th-century Russian writers serve as invaluable sources for understanding the geopolitical and cultural dimensions and context of the Caucasian campaigns. They illuminate nuanced insights of the region's history through the perspectives of both the conquerors and the conquered.